



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 38

07/06/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 8 მაისის N45/2856 წერილის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს მასზედ, რომ ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N117-ში მდებარე (ს/კ N33.09.36.038) შენობის პირველ სართულზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს.

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო